ოთხშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 14 № 147

წელიწადი მეორე

ოთხშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 14 № 147

ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფირხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა [illegible]

## ეფროსინე (ნინა) ექვთიმეს ასული

## ჭარხალაშვილისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდათუთქული მშობლები: ექვთიმე თედორეს ძე და სუსანა დავითის ასული, ძმები: მასწავლებელი დათიკო და სტუდენტი გიორგი-ლეონ (იონა), სიძე ბაგრატ ვასილის ძე და მეუღლე მისი ალექსანდრა ექვთიმეს ასული, ბიძაშვილები, ბიძა ლუკა მერაბის ძე ჭარხალაშვილი, მამიდაშვილები სერგო ანტონის ძე და მეუღლე მისი სონა პავლეს ასული მოსეშვილისა, ბიძაშვილი საგუბერნიო კომისარიატის მოხელე კონსტანტინე მოსეს ძე და მეუღლე მისი ოლღა ბიჭიას ასული ჭარხალაშვილები. გამოსვენება მოხდება 15 აგვისტოს (ახალი სტილით) დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 საათზე, სავლუბარი ბინიდან (ძველი თბილისის ქუჩა 1 შესახვევი) საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. კერძო მოწვევა არ იქნება. 2—1

# სია № 2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საეროზო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში.

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე—ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე—გაწრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე—ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე—საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი.
5. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩიქოვანი** ილია მანუჩარის ძე—ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე—საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიგულაშვილი** აარონ იაკობის ძე—კომერსანტი.
9. **პურადაშვილი** ივანე ისააკის ძე—აზოვო-დონის კომერციულ ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ბარათაშვილი** გრიგოლ სარინოს ძე—ნაფიცი ვექილი.
11. **ბასილაძე** ტროფიმე ლუკას ძე—კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ მერაბის ძე—მღებავი.

## ხელის მომწერთა

## საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საყურადღებო განცხადება!

საჭიროა ერთი გაზეთის დამტარებელი პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში.

## კბილის ექიმები

**მ. ი. ახვლედიანი** და **ლ. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 .. მისამართი: ქორვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი

## ზ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

## შეცდომები სწორდება.

ამიერ კავკასიის კომისარიატმა ბევრი ნაჩქარევი დეკრეტი გამოსცა, რომელიც ცხოვრებამ არ მიიღო და რომლის გამოცვლაც აუცილებელია. ერთი ასეთი დეკრეტი არის—დეკრეტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. ეს დეკრეტი იანვარში გამოიცა, დეკრეტი გარკვეული ხასიათის არ იყო და ერთი შეხედვით მხოლოდ იმას დააკმაყოფილებდა, ვისაც თუ კი მოესმა ყურში 8 საათის სამუშაო დღის მოწონება და მით უმეტეს მისი შემოღება და დაკანონება მეტი არ უნდა, არც ახსნას მოითხოვს და არც იმას ზომავს რამდენათ ეს სასარგებლო იქნება ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

სამწუხაროთ ჩვენში ბევრი რამ არის წამხედურებით გადმოღებული, შეუგნებლათ გაგონილი და მოუნელებლათ გავრცელებული. ჩვენში დათესილია ის ყალბი შეხედულება, რომ რაც სხვა ქვეყანაში მიღებულია, ის აქაც კარგი იქნება, რაც სხვას შეუთვისებია და შესაფერათ შეუსისხლხორცებია, ის ჩვენთვისაც ადვილათ მისაღები და ცხოვრებაში გასატარებელია. მეტიც უნდა ვსთქვათ, არათუ ის რაც სხვა ქვეყანაში არის და უკვე გამოცდილებით მიღებულიცაა და მოწონებულიც, არამედ ისიც, რაც იქ ჯერ განხორციელებული არ არის, და რაც მხოლოდ ზოგიერთის კერძო რწმენას შეადგენს, აქ უკვე სავსებით მისაღებათ და განსახორციელებლათ მიაჩნიათ. აი ამიტომაა, რომ სოციალიზმის მოძღვრებამ ჩვენში ფეხი მოიკიდა, თანდათან გავრცელდა და თითქმის მთელი საზოგადოებრივი ატმოსფერა მოწამლა.

აი ასეთი შეხედულება 8 საათის სამუშაო დღეზედაც.

ვინ არ იცის, რომ ადამიანისთვის ზომიერი მუშაობაა საჭირო, ვინ არ იცის, რომ ადამიანი კულტურულ ქვეყანაში ყოველმხრივ ხელსაყრელ პირობაში უნდა იყოს ჩაყენებული, სადაც მისი ფიზიკური და გონებრივი არსებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველი არანორმალური შემთხვევებით მოსალოდნელი მარცხისაგან. ამასთანავე ყოველი შეგნებული მოქალაქისთვის ცხადია, რომ ადამიანმა ფიზიკური შრომის შემდეგ თავისუფალი დრო უნდა იქონიოს რაც გონებრივ განვითარებას და გონიერ გართობას უნდა მოხმარდეს.

ეს ყველასთვის ცხადია, მაგრამ მიუხედავათ ამისა 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება ყოველგან და ყოველთვის არ შეიძლება და თუ ეს ძალით მოახდინეს, როგორც აქ ინებეს აჩქარებულმა „ხალხის“ წინამძღოლებმა—ამით საქმე წახდება და არ გაკეთდება. და აი რატომ.

როცა 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებით უნდა ვიცოდეთ რა სამუშაოს ეხება ეს კანონი და რა რიგის სახელოსნოში უნდა აღსრულდეს. თუ ადამიანი ქარხანაში ანუ ფაბრიკაში მუშაობს, სადაც მთავარი საწარმოო იარაღი მანქანაა და ადამიანის ფიზიკური ძალა ხელის შემწყობია, სადაც მანქანა ძლიერ სწრაფათ ტრიალობს და მუშა მოვალეა გაბმული ყურადღებით, მუდამ დაჭიმული ძარღვებით უყუროს და მასალა მიაწოდოს, რა თქმა უნდა 8 საათის მუშაობა კმარა, რადგან ადამიანი მეტს ვერ აიტანს და თანაც ნამუშავარი საერთოთ საკმაო იქნება შედარებით სამუშაოდ მიღებულ ქირასთან.

ქარხნებსა და ფაბრიკებში ტეხნიკურათაც მოსახერხებელია 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება, რადგანაც მუშას დასამუშავებელი მასალა მიმზადებული აქვს, სამუშაოც ისეა განაწილებული, რომ მუშას ხელი მიჩვეული აქვს მუდამ ერთი და იგივე რიგის მოძრაობა შეასრულოს, ყურადღებაც ერთ გარკვეულ შრომის მიმდინარეობაზეა მიმართული—ერთი სიტყვით იქ ცოტა ხანში ბევრი საქმე კეთდება და მუშაობაც შედარებით ნაყოფიერია.

ამ რიგათ ქარხნებსა და ფაბრიკებში 8 საათის მუშაობა შესაძლებელიც არის და სასარგებლოც, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ის, რაც იქ კარგი და მოსაწონია, სხვაგან უვარგისი და საზარალო გამოდგეს ავილოთ თუნდა ხარაზისა და თერძის სახელოსნო. ხარაზის მუხლზე შემოდებული საკრავი მასალა, ხარაზის ორმაგ ნელანელა ხელების იქით აქეთ გაკვრა, ხელსაწყო ავეჯის ძან იქით ძებნა ხან აქეთ, მუშაობის დროს მუტართან მუსაიფი, დამზადილი ნამუშევრის მუშტარზე მიძღვევა და ვაჭრობა ყოველივეს გარდა წაიგავს და მოგვაგონებს ქარხნის მანქანასთან მუშის ტრიალს? განა ხარაზისაგან 8 საათს გაკეთებული საქმე ოსტატსაც გაისტუმრებს ქირით და დასამუშავებელი მასალის ღირებულებასაც აღადგენს? ყოველივე ეს უნდა ვსთქვათ კერძო სახელოსნოებზე, დაწესებულებათა დარაჯებზე, წვრიმალ სავაჭროებზე და სხვა.

სამწუხაროა, რომ წესიერ ადგილზე მოსაწონი 8 საათის სამუშაო დღე, ჩვენში ისეთი გამოხატულებას ღებულობს, რომ სარგებლობის მაგიერ საზარალოთ ხთება და ცხოვრებას აფერხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ღ ე ს.

## წერილები.

ტრ. ჯაფარიძე—შეცდომა სწორდება

L.—სანტიმენტალობა უადგილოა.

ისკანდერ ბეგი—პროტესტი მზე და მთვარეს (პატარა ფელეტონი)

## ცნობები.

ლეჩხუმის მაზრაში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. სენაკში საერობო არჩევნებში ეროვნულ დემოკრატებმა გაიმარჯვეს. ქ. ფოთში ეროვნ. დემოკრატებმა ორი ხმოსანი გაიყვანეს, სხვა სოციალისტებმა ერთად კი ორი. მთავრობის განკარგულებით უქმდება საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტები.

---

კარგი პრინციპი და იმაზე გონიერათ აგებული კანონი ჩვენში ყალბათ გაგებული და უადგილოთ წამოყენებული იწვევს ისეთ გაუგებრობას, რომელზედაც ათასგვარი უსიამოვნება შენდება და როგორც ვაჭრობა-მრეწველობის ისე ყოველ გვარი შრომის წესიერი მსვლელობა ირღვევა.

ჩვენში რომ გაიგონეს 8 საათის სამუშაო დღე დაკანონდაო, ყველამ ბრალიანმა და უბრალომ მიუხედავათ იმისა სად მუშაობდა და რას მუშაობდა, განურჩევლათ იმისა თვითონ რას ღებულობდა ან მისი მუშაობით მის დამქირავებელს რა რჩებოდა, მოითხოვა 8 საათის მუშაობით დაკმაყოფილება და ამნაირათ ქარხნის მუშა სავსებით გასწორდა სასადილოებში მოსამხახურესთან, დაწესებულებაში კიბეზე მჯდომ დარაჯთან, ხელის მოსაწერი ქაღალდების ჩამომტარებელ ისაულებთან და სხვა.

განა ეს რომელიმე წესიერათ მოწყობილ სახელმწიფოში არის? განა ასეთი არევ დარევა გარდა ჩვენი კურთხეული საქართველოსა სადმე არის? რასაკვირველია არა, მაგრამ ჩვენი ვაჟბატონებისათვის ხომ ეს სულ ერთია, პირიქით ჩვენს მოსოციალისტე ჯგუფს ეს მოსწონს და უტიფრათ გაიძახის: „ჩვენში რომ იქნება მერე სხვა ქვეყნებშიც შემოიღებენო.“ აი ასეთი ბავშობა და ჩხირკედელობა უკვე დაეტყო ჩვენს ქვეყანას, მუშასაც ხელი შეეშალა და საერთო ქვეყნის კეთილდღეობაც განსაცდელში ჩავარდა. მწარე გამოცდილებამ ყველას დაანახვა, რომ წამხედურობით და შეუგნებლათ გადადგმული ნაბიჯი ადამიანს ყოველთვის ავნებს. დღეს დავჩერებივართ თავზე აწეწილ დაწეწილ ცხოვრებას, დამშეულ ხალხს, თავბრუ დასხმულ მუშას, გულგატეხილ გლეხობას, იმედ გარეცხილ ინტილიგენციას და გავიძახით საყვედურებს...

აი ყოველივე იგრძნო და შეიგნო დღევანდელმა მთავრობამაც და ამიტომ აცხადებს, რომ ამ დღეებში 8 საათის სამუშავო დღის დეკრეტი გადასინჯული იქნება, ეროვნულ საბჭოში განსახილველათ წარდგება და შესაფერი შესწორება უნდა მოხდესო, ამიტომ ყოველ დაწესებულებას სთხოვს მასალა მიაწოდოს ამ საგნის შესახებ *) მოწოდება საყურადღებოა და ვისაც გამოცდილებამ რა დაანახვა საჭიროა მთავრობას აცნობოს. შეცდომები გასწორდება.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

*) Борьба № 140.

## სანტიმენტალობა უადგილოა.

„საქართველოს მთავრობისაგან სამხედრო მინისტრს ევალება იმ მოხელეებს, რომლებმაც სხვადასხვა დაწესებულებათა ლიკვიდაციის შემდეგ სალიკვიდაციო დახმარება, მიიღო ხოლო თავს კი რესპუბლიკის ქვეშევრდომათ არ აღიარებს, მიმართოს წინადადებით დასტოვონ რესპუბლიკის საზღვრები. უკეთუ ეს პირები ამ დადგენილების ასრულებას ნებით არ მოისურვებენ იმ შემთხვევაში ადმინისტრატიული წესით იქნებიან გადასახლებულნი“

სხვათა შორის ასეთი დადგენილება გამოიტანა მთავრობამ ამ დღეებში. დადგენილება, რომელიც კარგა ხანია უნდა გამოტანილიყო და ჯეროვანად ცხოვრებაში გატარებულიყო, მაგრამ ჩვეულებრივი სანტიმენტალობისა გამო იგვიანებდა და იგვიანებს და მით ხშირად იდეა სახელმწიფოებრივი შენებისა ყირაზე გადადის ხოლმე.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სერიოზულ მომენტში, რომ თვით გაუწვრთნელ ყურსაც კი ესმის მძიმე ნაბიჯები ისტორიისა. და ვინ იცის, შეიძლება იგი ტანჯვა იმდენათ ხანგრძლივი იქნეს, რომ იქნებ ჯერ კიდევ კარგა ხანს ცრემლსა და სისხლის გუბეში ვრეცხოთ წარსულის მიუტოვებელი შეცდომები. ხოლო მწარეა დასაწყისი და ყოველ შემთხვევაში ამ ტრაგიკულმა მომენტმა პატრიოტულ ძახილის საერთო გრძნობაში ქვეყნის ბედისათვის რაც შეიძლება საჭიროთ უნდა დაგვრაზმოს და უარგვაყოფინოს სოციალური ვარიაციებისაგან გამოწვეული სენტიმენტალობა.

ველურმა ოსმალურმა ძალამ შეუბრალებლათ მოგვაშორა იმ ნაწილებს, რომლებისაკენ ჩვენი სახელმწიფოებრივი სხეული საუკუნოებით იწევდა და ურომლისოდ საქართველოს არსებობა მუდამ შევიწროებული იქნება და შეიძლება ითქვას არაფრად არ ეღირება. ასეთი დანაკლისები საშინელებაა, როგორც მაჩვენებელნი საკუთარი უძლურებისა თუ გინდა მაშინაც კი, როცა ისინი დროებითია. და ვინ იტყვის, რომ ჩვენი დანაკლისები მართლაც და დროებითია, რომ ჩვენ შევსძლებთ დავიბრუნოთ ის საზღვაო გზა, რომელიც ბათომიდან იწყება და დასავლეთისკენ მიემართება?

ხოლო თუ ამ შემთხვევაში უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე ვდგევართ, მეორეს მხრივ არა ნაკლებსა და უმნიშვლო სახელმწიფოებრივ ძალას გვართმევს და ეროვნული ენერგიის განვითარებისათვის გზას გვიღობავს ის ავანტიურა, რომელიც დღეს საქართველოს მრავალ საზღვრებში სწარმოებს და რომელსაც ბოლშევიზმი ეწოდება. საქართველოს ისტორიამ იცის უმგვანო ფლავანდიშვილები და თუ ისინი დღეს აშკარა ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს მნგრეველების როლში გამოსვლით განსაცდელში აგდებენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენ შეიძლება არა ნაკლებს მოღალატეთა და გამყიდვლათ ვთვლიდეთ მთელს. იმ პლეიადას ფარულათ მომქმედ, მაღალ ანტი-სახელმწიფოებრივ პოლიტიკის მწარმოებელ პირთა, რომლითაც ივსება მესამე ფრონტი ჩვენი მტრებისა. მთელი მათი მოქმედება საიდუმლოებით იფარება. ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ფეხით სთელავდენ სახელს საქართველოს რესპუბლიკისას და მის ქვეშევრდომათ თავიანთი თავის აღიარება ხომ ზედმეტ ბარგად მიაჩნიათ. ხოლო თუ ჩვენ შეძლება გვქონდა გაგვერკვია თუ რა ასჟლდგმულებდა თათრის ასკერებს, როცა საქართველოს საუკეთესო ნაწილების ჩამოხლეჩას ასე უჩქარიდა და რა ამოქმედებს ჩვენს გარშემო შემოსეულ ბოლშევიკთა ბანდებს, ჩვენ არ ვიცით ბოლოს და ბოლოს რას გვიმზადებს ის ხალხი, რომელიც მელიქ აზარიანცის სახლში დინამიტებს გვიწყობს; ქარვასლაში ინგლისური სისტემის იარაღებს ინახავს და უთვალავ კაფეებს იმისთვის აწყობს, რომ იქ შეკრებითათვის ბნელ გეგმათა წყობას გზა მისცეს.

ჩვენ არ ვიცით რამდენად მალე და საჭიროთ გატარდება ცხოვრებაში მთავრობის ზემოთ მოყვანილი დადგენილება. შეიძლება რესპუბლიკის მთავრობამ, ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევებშიც ესეც მოითმინოს, ხოლო ერთი კი ცხადია: ის მხარე, რომელსაც ამ შემთხვევაში ყურადღება მიაქცია ჩვენმა მთავრობამ ერთი მნიშვნელოვანი, ბნელით მოცული და შიგ მრავალ ბოროტ პირთა მძრომი მხარეა და მას დროზე სჭირია განათება და მხელა.

სახელმწიფოებრივ სხდომაზე პეტრე სტრუვე მემარცხენეებს უკიჟინებდა: „ნეტავი ვეცოდე ამ ზალას მტერი რამდენ მანძილზე უნდა იყოს მოშორებული, რომ თქვენ დაიკმაყოფილოთ ეს თქვენი სურვილი და გაიგოთ რაშია ომის მიზნებიო“

და ჩვენ ვეტყოდით იმასვე მხოლოდ ცოტაოდენი შეცვლით: „რა არის ის, რა უნდა ჩაიდინოს რუსულ „სოციალ-დემოკრატმა“, „ედინენიესა“, „ტრუდოვოე ზნამიასა“ და სხვა ნაოდ შავრაზმულ გაზეთების ფურცლებზე მოკალათებულმა და საქართველოს სივრცეზე მრავლათ მავთოლმა, ამავეძმიუნის ქვეშევრდომობაზე უარის მთქმელმა მოხელეებმა, რომ მათ წინააღმდეგ საჭირო ზომები იქნას მიღებული?“

ის პირები, რომლებიც ერთგვარ გამხრწნელ პროპაგანდას და საქმიანობას ეწევა საქართველოს საზღვრებში უნდა დროზე აილგმოს. ყოველგვარი მორიდება ამ შემთხვევაში უნდა უარყოფილი იქნას.

ასეთი უნდა იყოს ნება ჩვენი მთავრობისა.

L.

---

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

## ბრძოლა ლეჩხუმში.

დეპეში.

**ხრესილი** გატყობინებთ რომ ჩემმა რაზმმა დაიკავა ქვაკუტა და თავშავა და ჟღელტეხილის წინამდებარე მთა 3 ვერსის სიმაღლისა, უღელტეხილის დაკავებისას ხელთ ჩაგვივარდა 6 ტყვე, რომელთა შორის არის ძმათა ახვლედიანების მკვლელი და ბოლშევიკების შტაბის უფროსი საბუთებით.

ხელთ ჩაგვივარდა ერთი ტყვიისმფრქვეველი კოლტის სისტემის ს. აჭარიდან, ალპანიდან და ზოგიშიდან მოვიდენ დელეგატები, რომელთაც წაუყენეს შემდეგი ულტიმატუმი: ჩაგვაბარეთ იარაღი და ამბოხების მეთაურნი, ისინი ამაზე დასთანხმდენ. მოწინავე ნაწილმა დაიკავა ს. ზოგიში.

**ჰაეროპლანები** გუშინ აფრინდა ჩვენი ჰაეროპლანი და დაათვალიერა ლეჩხუმის პოზიცია და მოწინააღმდეგის ბანაკში ყუმბარები გადისროლა. ჰაეროპლანები უკან უვნებლათ დაბრუნდა.

**ჯარის ჩამოსვლა.** ლეჩხუმიდან დაბრუნდა ერთი ნაწილი ჯარისა დასასვენებლათ, იმათ მაგივრათ გაიგზავნება თფილისიდან ჩამოსული ჯარების ნაწილი. როგორც ჩამოსულმა ჯარის კაცებმა გადმოგვცეს სულ მოკლე ხანში მოხდება ლეჩხუმის ანარქიის ლიკვიდაცია.

## საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტის გაუქმება.

გადაწყვეტილია რომ უნდა გაუქმდეს საგ. საადგილ-მამულო კომიტეტი, რჩება მარტო სამაზრო კომიტეტები. მიწად მოქმედების სამინისტროსთან არსდება სამიწადმოქმედო დეპარტამენტი, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება ექნება სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებთან.

---

# უ ც ხ ო ე თ ი.

## უკანასკნელი ცნობები.

— მოსკოვის სადგომ ბინათა განყოფილებაში გამოცხადდა ლატიშთა მეომრები, რომლებმაც განაცხადეს მათთვის რომ გადაეცათ სადგომი, რომელიც „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციას უკავია, ვინაიდან „ნოვაია ჟიზნი„ დახურულიაო.

— მოსკოვიდან ჩამოსული ოფიცერი შემდეგს გადმოგვცემს, რომ საბჭოთა მთავრობა საბოლოოთ გერმანიის გავლენის ქვეშ იმყოფება. ლენინი ეხლა ბერლინში იმყოფება—გადასწყვიტეს ომი გამოეცხადებიათ ინგლისელებისა და ფრანგებისათვის. რუსეთში საერთო მობილიზაცია გამოცხადდა 10 წლით. ამ მობილიზაციას ყველა სკეპტიკურათ ხვდება და დარწმუნებულნი არიან, რომ ბოლშევიკთა ჯარებისაგან—არა გამოვა რა.

— კიევში მიღებულ ცნობებიდან ვატყობინებთ, რომ პარიზში შემდგარი კაბინეტი დროებითი მთავრობისა რომელშიც შედიან კერენსკი, სტახოვიჩი, ტერეშჩენკო; იზვილსკი, კოლჩაბელი და ხორვატი ამ დღეებში გადმოდის მურმანზე სადაც გაუძღვება ყოველივე ოპერაციებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

— სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ 24 ივლისს კურსკის სადგურიდან ბერლინისაკენ გაემგზავრა ლენინი.

### დ ო ნ ი.

ნოვოჩერკასკში „ხალხის თავისუფლების“ პარტიის სხდომის დროს გამოირკვა, რომ პარტიის მოლაპარაკება მთავრობაში შესვლის შესახებ შეჩერებულ იქნეს.

— ვინაიდან ვოლოგის ახლო-მახლო ადგილებში ჩეხო-სლოვაკები სერიოზულათ იწევენ წინ, როსტოვში ხმები დადის რომ გერმანელებმა ულტიმატური ხასიათის შეკითხვით მიმართეს დონის ჯარს იმის შესახებ თუ საით უჭირავთ კურსი—ბერლინისაკენ თუ ლონდონისაკენ. გერმანეთის კომენდატურის წარმომადგენელმა ადგილობრივ წარმომადგენელებთან საუბრის დროს კი ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება. მართალია გერმანელები შეეკითხენ გენერალ კრასნოვს თუ როგორ უცქერის ის სლოვაკების შემოტევას და მისგან შემდეგი პასუხი მიიღო: ჩეხო-სლოვაკები ჯერ-ჯერობით დონის ჯართან ერთად ერთ მიზნებს ანხორციელებს-ბოლშევიკებთან ბრძოლას. მაშასადამე სლოვაკებისა და ყაზახების მოქმედება ამ შემთხვევაში ერთდება. მიუხედავათ ამის—ადაუმატა კრასნოვმა,-სლავაკების ნაწილები დონში შემოსულნი არ იქნებიან. ეხლა გერმანელებისა და დონის ჯარის ურთიერთი დამოკიდებულება მეგობრულია.

### რ უ ს ე თ ი.

— არხანგელსკში კომისარ კედროვის ბრძანებით სამხედრო წესები გამოცხადდა.

— ატვარსკში სამხედრო წესების გამოცხადებასთან ერთად ფოსტაზე და ტელეგრაფზე ცენზურა დაწესდა.

— კოზლოვში საალყო წესები გამოცხადდა. საღამოს 11 საათის შემდეგ სიარული აკრძალულია.

— სტარიცკის მაზრაში გლეხებმა მოჰკლეს კომისარი გუსიევი.

— სახალხო სასურსათო კომისარმა დეპეში მიიღო, რომ მურმანის რკინის გზაზე შიმშილობამ ფართე ხასიათი მიიღო. მოსამსახურეთა 60 პროც. შიმშილობის გამო ავად გახდა.

72

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**შენობის დაცლის გამო.** განათლების მინისტრის ამხანაგი მდივანი დეპეშით ატყობინებს ქუთ. ქალაქის თავს, სთხოვს მოახდინოს განკარგულება, რათა ადგილობრივმა ლტოლვილებმა და ჯარის კაცებმა ქუთაისის ყველა სასწავლებლის შენობები დაუყონებლივ დაცალონ.

✦ **აქიმთა შორის.** აქიმთა პროფესიანალური კავშირი ქალაქის გამგეობას სთხოვს რადგან ამ კავშირის თავმჯდომარე, პოპულიარული აქიმი ა. შატილოვი ქუთაისში საცხოვრებელი ბინის უქონლობის გამო თბილის მიემგზავრება, სთხოვონ ბ. შატილოვს დარჩეს ქუთაისში და უშოვონ მას ბინა; მისი აქ დარჩენა კი დიდ სარგებლობას მოუტანს ქუთაისს.

✦ **ქალაქის ახალი მოედანი.** სალორიის აგარაკის მცხოვრებთა ჯგუფმა ქალაქის თვითმართველობას თხოვნით მიმართა, რომ მათ ნება დართონ, გახსნან ახალი მოედანი, კათოლიკების ძველი სასაფლაოს გვერდით, სათირჩხიაზე თავისუფალ ადგილას. ეს მოედანი სასარგებლო იქნება თვით მცხოვრებლებისათვის და ქალაქისათვის.

✦ **ძიძულა.** (დეპეში ს. ამაშუკეთში) ხოლერით ავათ გახდა ერთი. მოკვდა აგრეთვე ერთი. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

✦ **სოფ. თეკლათი** (სენ. მაზრა). 28 ივლისს ბენედიქტე ჟულავამ რევოლვერის ტყვიით მოკლა გიორგი ჯიჭია.

✦ **პაის ღირებულება.** ოზურგეთის ქალაქის თავი სთხოვს ქუთაისის ქალაქის თავს, აცნობოს მას, თუ რა ღირს პაი მამისონის უღელტეხილზე რკინის გზის გამყვან საზოგადოების წევრობისათვის.

✦ **ს. ნაქალაქევი** (სენ. მაზრა.) 31 ივლისს, 15 შეიარაღებულნი ბოროტგამზრახველნი თავს დაესხყენ კოსტა ბალდათურიას. მიზანი თავდასხმისა იყო ქალიშვილის მოტაცება, მაგრამ ქალი სახლში არ აღმოჩნდა, ამის გამო მოკლეს ბალდათურიას დედინაცვალი და მიიმალენ.

✦ ახალი სიმინდი. როგორც სოფლიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, სიმინდის ნაკლებობის გამო ხალხი ახალს სიმინდს ხარშავს და იმით იკვებავს თავს. აგრეთვე ხშირია მაგალითი, როცა მშიერ კუჭს მცხოვრებნი ხილით ასაზდოებენ.

✦ კანტორა „იმერეთმა" გასაყიდად მიიღო შემდეგი ახალი გამოცემები: 1. კ. წერეთლის და კ. ჩხენკელის სურათები სავანგებოთ დახატული პეტერბურგის გამოჩენილ მხატვრის ბროცკისა. ფასი 5 მან. 2. უცხო სიტყვათა ქართული ლექსიკონი ი. იმედაშვილისა ღირს 25 მან. 3. ვ. ემუხვარის—შენიშვნები მიწის კანონის შესახებ, ფასი ერთი მანეთი.

✦ **თფილისის გაზეთები.** თფილისიდან გამომავალი მატარებელი დღეიდან შეიცვალა. მოდის ღამის 11 საათზე გამოდის აქ დილის 8—9 საათზე. კანტორა „იმერეთი" დღეიდან თფილისის გაზეთებს მიიღებს იმავე დღეს ამ მატარებელით.

✦ **ანარქია სამეგრელოში** გუბ. კომისარს ახალსენაკიდან აცყობინებენ, რომ ბოლშევიკური ბანდების მეთაურები თანახმა არიან საქმე მორიგებით გაათავონ, რისთვისაც საჭიროა გამოგზავნოთ რწმუნებული ან თვითჩამოხვიდეთო.

✦ **შაქიამანი,** რადგანაც ლეჩხუმის ულუფა შაქიამანის გაგზავნა ანარქიის გამო შეუძლებელი შეიქნა ანაწილებენ სხვადასხვა მაზრებისათვის.

✦ **უსუფთაობა.** ლევაშოვის ქუჩის არხებში დიდი სიბინძურეა და ქალაქის გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ასეთივე უსუფთაობაა სხვა ქუჩებზედაც. დაგროვებულია მრავლად ძდგილას ნეხვი, ნესვის და საზამთროს ნათლები და გადამტანი კი არავინ არის.

თეთრი ხიდის და წითელი ხიდის შუა ისეთი სუნი სდის, რომ გავლა ყოვლად შეუძლებელია.

# პატარა ფელეტონი

## „პროტესტი მზეს და მთვარეს"

„ქ. ფოთში საერობო არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა სოციალისტთა ბლოკი დაამარცხა".

**რადიო დეპეში.**

ამ ცნობამ ქუთაისელი „ბლოკისტები" ფეხზე დააყენა და ლობჟანიძის საყვირით, ქალაქის ბაღში მიტინგი მოიწვიეს.

ქალაქის ბაღს, ანუ ჩვენებურად რომ ვსთქვათ „ბულვარდს", როგორც სჩვევია, შებინდებისას დიდძალი ხალხი მოაწყდა. რიონის სადგურიდან ჰაეროპლანები მოფრინდა. ამხანაგები,—მხსნელნი დემოკრატიისა, ავტომობილებით მობრძანდენ...

ბაღი ხალხით აივსო. წითელი დროშები ელექტრონის სხივებზე აფრიალდა. რევოლიუციის სხივმოსილება რაღაც ნაზად, ქალწულისებურ სინაზით გამოიცქირებოდა.

გაიხსნა მიტინგი...

ახმაურდა ლობჟანიძის საყვირი...

მოსეირნე საზოგადოებას ელდა ეცა. მიიფანტ—მოიფანტენ. სახლებისკენ გაეშურენ...

ორატორთა სიტყვები კი გაისმოდა „ალენიდან" „რეიმსამდის", მოშიაშვილის ფქვილის საწყობიდან „იმერეთამდის".

ბევრი შესანიშნავი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ პირველი ადგილი, როგორც ყოველთვის, დადიანის სიტყვამ დაიკავა.

ახოვანი ჭაბუკი, რომელსაც მხარს შეიარაღებული ამხანაგები უმშვენებენ ტრიბუნაზე ადის. ღრმა ცისფერი თვალებით აფრიალებულ დროშებს გადახედა და დაიწყო:—

„ამხანაგებო!

რევოლიუციას, რომელსაც სული ჩაუდგა ჟორდანიამ და ლასხიშვილმა, მზემ პროტესტი გამოუცხადა.

არ გჯერათ?

დამერწმუნეთ მე არასოდეს არ მიცრუებია.

აბა შეხედეთ თუ ანათებს მზე. იგი შავი ზღვის ტალღებმა შთანთქა.

მთვარე კი გაბუტული კატასავით საკუჭნაოში იმალება.

მაგრამ ჩვენი დროშები მაინც ცისკროვნობს. ლალიძის ელექტრონი უხვად უგზავნის თავის მადლიან სხივებს.

ლალიძეც ჩვენი ამხანაგია.

მისი ელექტრონის სხივები არ ულალატებს ჩვენს წითელ დროშებს...

ზიზღი მთვარესა და მზეს... (ტაში)

მოითმინეთ ამხანაგებო, ნე არ დამისრულებია ჩემი სიტყვა.

ამხანაგებო!

თქვენ ვალდებული ხართ იცოდეთ, რომ ჩვენი ამხანაგები, გმირი მეომრები „გეროისებურად" იბრძვიან ათასგვარ ფრონტებზე.

ჩვენი უმწიკვლო სისხლით ილებება მთა და ბარი, ტყე და მინდორი, ოკეანე და ხმელეთი, ცა და სამყარო...

ჩვენ, მხოლოდ ჩვენ ვამარცხებთ მტრებს შინაურს და გარეშეს და დიდ სახელს მოვიხვეჭდით, საქართველოს ისტორიულ საზღვრებს აღვადგენდით, ისტორიკოსებს ზღაპრულ გმირებათ მოვეჩვენებოდით, რომ ძლევამოსილი, მრავალ ტანჯული ჩვენი რაზმი, ზეკარის მთებში ძუნწ მეცხვარეებს არ გაეფანტა.

ამ მეცხვარეებმა ერთი ბატკანის სისხლი აიღეს, რომელიც დასვენების დროს ჩვენმა რაზმელებმა, რაზმის უფროსს მიართვეს.

ზიზღი, ზიზღი ამხანაგებო ასეთ მეცხვარეებს, ზიზღი თვით იმ შემწვარ ბატკანს, რომლის გულისათვის დამარცხდა ჩვენი რაზმი.

ამხანაგებო, გაგითვალისწინეთ რა ჩვენი თავგანწირვა, ამხანაგურად გირჩევთ, რომ არცერთი ხმა არ დაკარგოთ.

ხმა მიეცით მხოლოდ ბლოკს.

მომეცით პატიოსანი სიტყვა რომ ამას შეასრულებთ.

**ხომ იზამთ ამას?**

**ხომ იზამთ?**

**ხომ იზამთ?**

**ხ ო მ ი ი ზ ა ა მ თ ?**

* *
*

უკვე ღამის 12 საათი იყო. ხალხი დაშლილიყო.

ორატორს ელდა ეცა და საყვირთუხუცეს უბრძანა საყვირი მოემარჩა.

ბრძანება ორატორისა მყისვე შესრულებულ იქნა.

**На мѣсто преступленія,** გაჩნდენ მილიციელები, მაგრამ საქმე მშვიდობიანად დასრულდა.

**ისკანდერ-ბეგ.**

# საერობო არჩევნები ფოთში და სენაკში.

ექვს აგვისტოს ქ. ფოთში მოხდა საერობო არჩევნები. ხალხი არჩევნებს გულგრილად შეხვდა და ხმა ცოტამ მისცა. შედეგი ასეთი იყო, ხმების უმცირესობა მიიღეს ს. რევოლიუციონერებმა, ხოლო ეროვნულ დემოკრატებმა,—სოც. დემ. და სოც. ფედერალისტთა ბლოკის თანასწორად. ასე, რომ, იმ ოთხი კანდიდატიდან რომელიც ფოთს უნდა აერჩია 2 ეროვნულ დემოკრატი და ორიც სოციალისტური ბლოკის კანდიდატი გავიდა.

სენაკში კი არჩევნები 9 აგვისტოს მოხდა. სიები წარდგენილი იყო: ეროვნულ დემოკრატების №-1 სოც. რევოლიუციონერების № 2. და სოციალისტური ბლოკის, (ს. დ. და ს. ფ.) № 3.

ქალაქ სენაკს ერთი ხმოსანი უნდა აერჩია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 600 კაცმა, მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლებმა. წინა დღეებში არავითარ აგიტაციას ადგილი არ ჰქონია, ბევრმა არც კი იცოდა რა იყო ეროობა და როდის იყო არჩევნები. მაგრამ ვინც მოვიდა, იმათშიაც დიდი განსხვავება იყო გლეხები „ახალ პირველ ნუმერს" თხოულობდენ. იყო შემთხვევა, როცა კითხეს: „ძველ პირველ ნომერს", ეხლანდელ სამს, რატომ არ აძლევთ ხმასო".

გლეხმა უპასუხა:—„ძველი" პირველი ნუმერი გაბოსიაკდაო" მენშევიკებმა როცა შეატყვეს, რომ უმრავლესობას № 1 იქონდა ყოველგვარი ღონე იხმარეს ყუთების გახსნამდის ჯარისკაცები მოიყვანეს ყაზარმებიდან და იმათ მიაცემიეს ხმები. სალამოს ყუთთან მორეკეს გოგუაძის ჯავშნიანი მატარებლის, № 4 ჯარისკაცები, 60 კაცი ყველა მესამე ნომრით. მათ რასაკვირველია ხმა არ ჰქონდათ ქალაქის კერძო არჩევნებში, როგორც გამვლელებს, მაგრამ კომისიამ მაინც დაუშვა ყუთთან.

სალამოს ათ საათზე, ახალი დროთი, გახსნეს ყუთი და ხმები დაითვალეს.

ეროვნულ დემოკრატების სიამ № 1-მიიღო 296 ხმა. ს-რევოლიუციონერების სიამ № 2—34 ხმა. და ერთიც უვარგისათ იქნა ცნობილი.

ბლოკის სიამ მიიღო (№3) 269 ხმა.

ასე რომ ხმების უმრავლესობა ეროვნულ დემოკრატებმა მიიღეს და ერთი კანდიდატიც სენაკიდან, ამ პარტიამ გაიყვანა სახელდობრ ვლადიმერ დემურია, ადგილობრივი გიმნაზიის დირექტორი.

სოფელში, გარდა თეკლათისა არჩევნები არ ყოფილა, და იქაც 5,000 მცხოვრებში 100 მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

**ვ. გამყრელიძე.**

# მევენახეების და მეღვინეების მიმართ.

დღეს, 14 აგვისტოს, დანიშნულია ქუთაისის საგუბერნიო მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის კრება. სხვა საქმეების გარჩევის გარდა ამ კრებამ უნდა აირჩიოს კომიტეტის თავმჯდომარე, რადგან ხსენებულ კომიტეტს თავმჯდომარის პეტრე ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ კომიტეტს თავმჯდომარე არ ჰყოლია და მის მოვალეობას ასრულებდა ი. ქუთათელაძე.

ყოველმა ქართველმა იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს, მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებას და ამ მეურნეობის დარგის საქმის რიგიანად დაყენებას და მსვლელობას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღმატებაზე.

რევოლუციამდი ამ საქმის სათავეში ჩვენში, იდგნენ სრულიად უცოდინარი პირნი. ესენი იყვნენ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელენი პაკვალინი და მულინი. რევოლუციის ძალით უფლება მოპოვებულმა მოსამსახურეებმა, მულინი გადააყენეს ამ თანამდებობიდან და აირჩიეს განსვენებული პეტრე ყიფიანი, როგორც მეურნეობის ამ დარგის კარგად მცოდნე და სრული იმედიც იყო, რომ იგი მართლაც სასურველ ნიადაგზე დააყენებდა მეღვინეობის და მევენახეობის საქმეს. მაგრამ განგებამ არ დააცალა მას ამის შესრულება და შარშან ენკენისთვის შემდეგ, კომიტეტს მცოდნე თავმჯდომარე არ ჰყოლია და ამ მოვალეობას ასრულებდა მეაბრეშუმე-სპეციალისტი ი. ქუთათელაძე.

მე არ შეუდგები მის გარჩევას, თუ რა სარგებლობა, მოუტანა ამ თითქმის ერთი წლის მისმა მართვა-გამგეობამ, ხსენებულ კომიტეტს, მაგრამ საჭიროა კრებამ თავმჯდომარეთ აირჩიოს კარგი მცოდნე პირი მევენახეობა-მეღვინეობისა, რათა რაციონალური მსვლელობა ექნეს ჩვენი ქვეყნის ამ უმაღლეს კულტურას.

**აქაური.**

# საზოგადოების საყურადღებოთ.

(**გ. ზდანოვიჩის მამულის გაყიდვის თაობაზე.**)

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მე, როგორც გ. ზდანოვიჩის ანდერძის ამსრულებელმა, მცირე განმარტება დავბეჭდე „ხალხის მეგობარში". პასუხი იყო მოკლე, ამას მოითხოვდა საქმის ვითარება; პასუხთან ერთათ მე რედაქციას გაუგზავნე ანდერძის პირი; ვთხოვე დაებეჭდათ, მაგრამ რედაქციამ არ დაბეჭდა რა მიზეზით ისურვა არ ვიცი; მგონი, საზოგადოებისათვის უფრო კარგი იქნებოდა, რომ დაბეჭდილიყო. შემდეგ კითხვა ძლიერ გაამწვავეს; ბევრი ისეთი რამ დაიბეჭდა, რაც იყო სასურველი და რისიც გამომჟღავნება არ მინდოდა და, შეიძლება, სამერმისოთ საქმეს ძრიელ ავნოს, მაგრამ, როდესაც ასე ინებეს, დეე ასე იყოს; მეც გულახდილათ მოგახსენებთ საჯაროდ როგორ და რა პირობებში გაიყიდა გ. ზდანოვიჩის მამული. ზდანოვიჩის ანდერძი დღიდან მისი შედგენისა ჩემ ხელში იყო; გარდაცვალების მერე, როგორც კი შესაძლო იყო, შევუდექით ანდერძის დამტკიცებას; როცა ანდერძი დავამტკიცეთ და ჩვენ ბ. იასონ ბაქრაძემ და მე, მამული ჩავიბარეთ, ჩვენ შევუდექით საქმის მოწყობას. საქმიდან გამოირკვა რომ დარჩენილი იყო მამული ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩაზე-ერთ სართულიანი სახლი ეზოთი და მოწყობილობით, შავი ქვის მრეწველთა მოსამსახურეთა კასაში შენახული ფული თუთხმეტ ათას მანეთამდი. და ტყვარჩელის საქმის „ხაიავკები." მამული დაგირავებული იყო საადგილ-მამულო ბანკში და ირიცხებოდა ვალი 16,515 მან. და "ზაკლადნოით" მანსვეტაშვილთან სარგებლით 29 ათასი მანეთამდი, გარდა ამისა გ. ზდანოვიჩს ემართა შავი ქვის კანტორის ცხრაას თუმნამდე. ეს ვალი შავი ქვის მრეწველთა კრებამ მიიღო თავის თავზე. ეს გახდათ ქუთაისის ვალები, რა ვალები და ვალდებულებანი იყო კიდევ ქუთაისის გარდა და რა ხასიათის იქნებოდა ისინი, ჩვენ არ ვიცოდით; ვიცოდით მარტო, რომ ბ. მანსვეტაშვილს ჰქონდა გ. ზდანოვიჩის ვექსილები, მაგრამ რა ხასიათის იყო არ ვიცოდით. ვექსილები ჰქონდა აგრეთვე ბ. ივანოვს პეტროგრადში რამდენი და რა ხასიათის იყო არ ვიცოდით, გარდა ამისა ჩვენი აზრით არიან

სხვა და სხვა პირნი პეტროგრადში, რომელთაც აქვთ გ. ზდანოვიჩის ვექსილები რამდენის არ ვიცით. ერთ პიროვნებისაგან უკვე მივიღეთ სამასი თუმნის ვექსილი, თხოვნით რომ ფული გადავვეგზავნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მისი განაღდება შეჩერებულია.

1913 წელს ანდერძი იყო გაკეთებული ჩემი რჩევით, ვინაიდან გიორგი მაშინ მიდიოდა პეტროგრადს და თავის თავს ვერ გრძნობდა კარგათ. მისი საქმეები მაშინ უფრო აწეწილი იყო და ეს ანდერძი იმიტომ გავაკეთებინე, რომ მეგონა, მრეწველთა საბჭო, რომლის საქმე მაშინ კარგათ იყო ფინანსიურათ, ყოველივე გიორგის ვალს გადაიხდიდა და მის მამულს კი მის სახსოვრათ დაუტოვებდა წერა-კითხვის გამ. საზოგადოებას ქუთაისში. გიორგის კი ძლიერ აწუხებდა აზრი, რომ მას რამე დაემართებოდა და მისი კრედიტორები დარჩებოდენ დაუკმაყოფილებელნი, მეგობრებს კი დაედებოდათ ვალი გადასახდელათ და ამიტომ იყო, რომ ანდერძში აშკარათ მათქვამია, რომ ყველა მისი დახურდავებული ვექსილები უფულონი იყო და უნდა განაღდებულიყო მისი ქონებიდან. ანდერძი შევადგენიე ნოტარიუს ანჯაფარიძეს; ანდერძის შედგენის დროს მოხდა შეცდომა —უნდა ყოფილიყო, რომ ეანდერო ქუთაისის განყოფილებას წ. კ. გ. საზოგადოებისას, მაგრამ ამ შეცდომას ყურადღება ვერ მივაქციეთ და გამოვიდა რომ ეანდერძება მთელ წ. კ. გ. საზოგადოებას. ამის შესახებ კიდეც იყო ბაასი ქუთაისის განყოფილებისა და მთავარ გამგეობის შორის და მთავარი გამგეობა მოითხოვდა ანდერძის ძალით, რომ თუ კი რაიმე დარჩებოდა უნდა ყოფილიყო გადაცემული მთავარ გამგეობის ხელში. ჩვენი ბ. ბაქრაძის და ჩემი თხოვნით, შესდგა, თუ არ ვცდები, სამი სხდომა ქუთაისის წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისა—კრება მუდამ დიდის გაჭირვებით იხსნებოდა, ვინაიდან ძლიერ ცოტა წევრი ესწრებოდა. ჩვენ გავაცანით გამგეობას ანდერძის შინაარსი, მოვახსენეთ ყოველივე ცნობა ქონების და ვალდებულების შესახებ და ამასთანავე ერთად მოვახსენეთ ის ზომებიც, რომელნიც ჩვენი აზრით საჭირო იყო საქმის მოსაწესრიგებლად; გამგეობას პირველათ თითქმის არც უნდოდა საქმეში ჩარეოდა; გამგეობის აზრით, მას, ანდერძის ძალით არც ქონდა უფლება, რომ ჩარეოდა საქმეში, ვინაიდგან ანდერძის ძალით ყოველივე საქმის მოწესრიგება გვევალებოდა ჩვენ აღმასრულებლებს და გამგეობას კი უნდა მიეღო ის, რასაც ჩვენ გადავცემდით და მეორე მხრით კი —ვის ეკუთვნოდა ქონება ქუთაისს თუ თფილისს გამორკვეული არ იყო. ჩვენის თხოვნით ქუთაისის განყოფილების გამგეობამ მაინც მოგვცა ნება, მოძრავი ქონებიდან ნაწილი გაგვეყიდა, ნაწილი შენახული და ნაწილი კი დათმობილი ქონებოდა გიორგის ძმისწულს. მამულის გაყიდვის თაობაზე კი იყო თათბირი მთელ მესამე კრებაზე, მაგრამ კითხვა გადაუწყვეტელი დარჩა. კრებამ ვერ გადასწყვიტა ვერც გაყიდვა, ვერც დატოვება და გადადვა შემდეგ სხდომისთვის, მეტი ამ საგანზე ქუთაისის გამგეობასთან ჩვენ ლაპარაკი არ გვქონია. მამულის და ყოველივე საქმის ჩაბარების თაობაზე გამგეობამ უარი გვითხრა, და გვთხოვა მთელი საქმე სანამ ყოველივე არ იქნებოდა გამორკვეული, ყოფილიყო ისევ ჩვენ ხელში. ჩვენ იძულებული ვიყავით დავთანხმებულიყავით და შევუდგით საქმის მოგვარებას; მოძრავი ყოველივე გავანაღდეთ, რაც ფული შემოვიდა, იმით საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები გამოვიყიდეთ საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდან, მანსვეტაშვილის „ზაკლადნოი“, რომლის რაოდენობა მაისისათვის უდრიდა 29 ათას მანეთს გამოვიყიდეთ ოცდა ოთხ ათასათ ნასესხები ფულით და სახლი მივაქირავეთ შავი ქვის საბჭოს 2500 მან. წელიწადში. ამის შემდეგ ჩვენ არც ბ. ბაქრაძეს არც მე სახლის გაყიდვის კითხვა არ აღგვიძრავს. თუმც მე პირადათ თავიდანვე ვიყავი იმ აზრის, რომ ფინანსიური მხრით უფრო უკეთესი იყო მამულის შელევა, ვინაიდან ეს მამული შემოსავლიანი არ იყო და ყოველთვის მოითხოვდა ზედ-მეტ ხარჯებს არა ნაკლებ წლიურათ ორას-სამას თუმნისა. ეხლა კი ამ დროულათ სახლს უნდა რემონტი, რომელსაც არ ეყოფოდა სამას თუმანზე ნაკლები. ამას გარდა ეხლა მამულის ფასები ძლიერ აწეულია, რადგანაც ფულიან ხალხს ეშინიათ ფულის ხელში ქონება. წინეთ როცა გიორგიმ ეს მამული დააგირავა ბანკში დიდის გაჭირვებით მამული იყო შეფასებული 35 ათას მანეთათ, ეხლა კი მყიდველები იძლეოდენ ას ოც ათას მანეთს; ამიტომ ვფიქრობდი უფრო კარგი იქნებოდა მამული გაყიდულიყო და რაც დარჩებოდა ვალის გადახდის შემდეგ (ჩემის აზრით არა ნაკლებ 80 ათასი მანეთისა) გიდაცემოდა წ. კ. გ. საზოგადოებას საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომლიდან საზოგადოებას ექნებოდა წლიური შემოსავალი არა ნაკლებ ოთხი ათასი მანეთისა. ამნაირათ საზოგადოებას ხარჯი კი არ ექნებოდა, არამედ ექნებოდა წმინდა შემოსავალი, რაც იყო სურვილი გ. ზდანოვიჩისა. გიორგის უნდოდა საზოგადოება გაეძლიერებია და არა ვალებში ჩაეგდო. მეორე შემთხვევაში კი ე. ი. თუ მამულს არ გავყიდდით და ბანკის ვალს დავფარავდით გირავნობის ფურცლებით, რომელიც გამოყიდული იყო საურთიერთო ბანკიდან, მამულზე რჩებოდა მარტო 24 ათასი მანეთი ვალი „ზაკლადნოის“ ექვს პროცენტათ წლიურათ, რასაც უნდებოდა წელიწადში 1450 მან. ამის გარდა ამ მამულს უნდა გაესტუმრებია ყოველივე სხვა ვალები და ვალდებულებანი. ვალების რაოდენობა როგორც ზევით იყო მოხსენებული არ არის გამორკვეული. ვსთქვათ რომ ეს ვალი უდრის 40 ათას მანეთს, ეს ვალი ან უნდა გადაეხადა წერა-კითხვის—გ. საზოგადოებას ან და მევალეები მამულს გაყიდდენ; რაც შეეხება სხვადასხვა ვალდებულებას ამის თაობაზე ჩვენ უნდა დავვეკმაყოფილებია ორი პირი: ერთი გიორგის ძმა ვასილ ქორქაშვილი, რომლის თაობაზე პირადათ მე მქონდა გიორგიდან ნათქვამი, რომ თუ რამე საშუალება იქნებოდა მისი ქონების ლიკვიდაციის შემდეგ ვასილი არ უნდა დაგვევიწყებია, მეორე პირი კი არის პატარა ბავშვი, რომელსაც გიორგი მის სიცოცხლეში ყოველთვის ეხმარებოდა; გიორგის ავათმყოფობის დროს თანახმათ მისი თხოვნისა მე შეძლებისა დაგვარათ ხელს უწყობდი, მისი დატოვება უსახსროთ შეუძლებელი იყო; ვთქვათ რომ ეს ბავშვი სულ უცხო იყო მისთვის მაინც მისი ქუჩაზე გადაგდება არ იყო სასურველი —ამ შემთხვევაში კი—თუ მამული არ გაიყიდებოდა ორივე რჩებოდა უყურადღებოთ რამოდენიმე წლის შემდეგ მამულის ფასები ისევ ძველ კალაპოტში ჩადგებოდა და საზოგადოებას დარჩებოდა მამული, რომელზედაც იქნებოდა ვალი არა ნაკლებ 60 ათასი მანეთისა, თითონ მამული კი ამდენათ არ ეღირებოდა, გარდა ამისა საზოგადოებას დარჩებოდა ტყვარჩელის ქვანახშირის „ზაიავკები“, რასაც ეხლა არავითარი ფასი არ აქვს, ვინაიდან მადნეულებანი საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას. ამ რიგათ —პირველ შემთხვევაში ე. ი. თუ მამული გაიყიდებოდა! წ. კ. გ. ს. შეეძლებოდა გიორგის სახელით ყოფილიყო სამუდამოთ არა ნაკლებ რვა ათი სტიპენდიატისა, მეორე შემთხვევაში კი საზოგადოებას ხელში რჩებოდა მარტო სახლი დავალიანებული და საზოგადოებას მისი შესანახავათ დაეხარჯებოდა ყოველ წლიურათ არა ნაკლებ ორას-სამას თუმნისა; ჩემის აზრით პირველი უფრო კარგი სარგებლიანი და მუდმივი იყო გიორგის ხსოვნის დასაფასებლათ. აი ასეთი გახლდათ ჩემი მოსაზრებანი და თუმცა მე გაყიდვის მომხრე ვიყავი, მაგრამ არავითარი ნაბიჯი არ გადამიდგამს, გარდა ამისა ჩემ აზრს ყველას უზიარებდი. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობასთან მე არავითარი მოლაპარაკება არასოდეს მქონია, არც არაფერი მიმიწერია, მხოლოთ ქუთაისში მქონდა ბ. ი. ბაქრაძის თანდასწრებით მოლაპარაკება ბ. გ. ლასხიშვილთან, რომელსაც მე ანგარიშები და ჩემი მოსაზრებანი გავაცანი და ჩვენ ორივემ ვთხოვეთ რომ ის თითონ მოლაპარაკებოდა მთავარ გამგეობას და ჩვენთვის მისი აზრი მამულის გაყიდვის შესახებ შეეტყობინებია. ბ. ი. ბაქრაძე წინაამდეგი იყო მამულის გაყიდვისა, მაგრამ როცა გაეცნო ანგარიშებს და მომავალს—მაშინ გადაწყვიტა გაყიდვა თუ მოგვცემდენ კარგ ფასს, არა ნაკლებ ას ორმოცდა ათი ათას მანეთისა; ამ ფასის მომცემი კი არავინ გამოჩნდა და ამიტომ გაყიდვის საქმეც შეჩერებული იყო, ვინც კი შეკითხებოდა, ყველას ვეუბნებოდი აღნიშნულ ფ სს, და ეს ამბავი მგონი ქუთაისში ყველამ იცოდა. ასე გავიდა დრო ივნისამდი.

პატივისცემით **ალ. დარახველიძე.**

(შემდეგი იქნება)

---

## პასუხი სვირელ ცალფეხას.

გაზეთ „სოც. დემოკრატის“ მე-375 ნუმერში მოთავსებულია ვიღაც „ცალფეხას“ კორესპონდენცია, რითაც თვალს უბრმავებს „სოც. დემოკრატის“ მკითხველებს, პარტიის უფროსებს და ბოლოს თავისთავსაც.

ცალფეხა თავის პარტიის უფროსებთან მასმენს ვითომც მე ანარქიას ხელს ვუწყობდე და ხალხს საჯაროდ ვეუბნებოდე მთავრობა არ არსებობსო. ეს მტკნარი სიცრუეა. საერთოდ მთავრობის შესახებ არაფერი მითქვამს; რაც შეეხება სოფ. სვირს, მას მართლაც არ ყავდა აღმასრულებელი კომიტეტი ხუთი თვის განმავლობაში: მთავრობა რომ ყოფილიყო, კომისარი 6 და 8 მაისს კრებას არ დანიშნავდა კომიტეტის შესადგენად რასაც ჰქონდა ადგილი სოფ. სვირში —თორემ რას ნიშნავს თვით „ცალფეხას“ კორესპოდენციის შემდეგი სიტყვები: „სვირში ამ ბოლოდროს ხდება უწესოება, რომელიც მალე მიიყვანს ანარქიულ მოძრაობაზე. დ. ბაღდათიდან ჩამოდიან შეიარაღებული სალდათები და ღამ ღამობით გაჩაღებული სროლა სუფევს. საჭიროა ეხლავე მთავრობიდან ყურადღება მიექცეს ასეთ მოვლენის აღმოფხვრას“.

სვირში, რომ სრულუფლებიანი მთავრობა ყოფილიყო და ასეთი პირების წინააღმდეგ ზომები მიეღოთ მე მგონია არც „ცალფეხა“ შეიწუხებდა თავს ასეთი სიტყვების დაწერით. აი სწორეთ ამისთვის გახლდით მაზრის კომისართან სვირელო „ცალფეხა“ და არა გუბერნიის კომისართან. ესეც არ იყოს, სვირის ამბები იმ სახით არ ამიწერია მაზრის კომისრისათვის, როგორც თქვენ სწერთ და უნდა იცოდეთ, რომ ფაქტების ასე გადამახინჯება პროვოკაციაზე კიდევ მეტია. მაგრამ მახინჯობა თქვენი საქმეა. იმახინჯეთ და ითვალთმაქცეთ სანამ გასავალი გექნეს.

რაც შეეხება სოც. დემოკრატების დამარცხებას და ერ. დემოკრატების გამარჯვებას, ეს ასედაც არის, თქვენ დამარცხდით კი არა,—დაიმარხენით მის შემდეგ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

დავანებოთ ამას თავი, ეს კორესპოდენციის შესავალია რის გამომჟღავნება თქვენ ნს პარტიულ უფროსს ამხანაგებში თქვენთვის აუცილებელია. თორემ თქვენ რომ საქმე გაინტერესებდეს, მე რომ მართლა დამნაშავე ვიყო თქვენ არ შეშინდებოდით, ნიღაბს მოიხსნიდით და ისე დაიწყებდით წერას როგორც თავისუფალ მოქალაქეს შეშვენის ამას მოით ხოვს თვით მოქალაქობრივი გამბედაობაც. მაგრამ იმ კაცს როგორ მოვსთხოვოთ მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომელიც ნიღაბით გამოდის და თავის თავს იქებს. გიცნობთ ვინც ბრძანდებით. ამას თვით თქვენი ფსევდონიმი ახასიათებს და აგრეთვე ის სიტყვები, რომელიც თქვენს კორესპონდენციაში თქვენდა უნებურად და კორესპონდენციების წერაში გამოუცდელობას ამტკიცებს.

იქნებ თქვენ არც გახსოვდეთ, იქნებ არც წაგიკითხავთ თქვენი კორესპონდენცია.

„კომიტეტის სხდომის შემდეგ, მოხდა ხალხიდან არჩეული მოანგარიშე პირების სხდომა, სადაც მოიწვიეს თავდა პირველათ, ყოფილი რაზმის უფროსი ვარლამ კაპანაძე. მას, როცა ყაჩაღები გაფანტა, შეძლებულმა პირებმა შესწირეს (აჩუქეს), თავის სურვილით, 5 ათას მანეთამდის. ეს ფული გადმოსცეს რაზმის უფროსს, რომელიც უნდა მოხმარებოდა რაზმის ფონდს და რევოლუციონურ ორგანიზაციის საჭიროებას“(!).

თქვენ თვითონ ამბობთ „ფული გადმოსცეს მე რაზმის უფროსსო“ აქედან აშკარაა ვინც ბრძანდებით თქვენ. მაგრამ მიბრძანეთ რომელი რაზმის უფროსი ხართ? ან რომელი რაზმი არსებობს სვირში? რაზმი კი არა თქვენ იყავით სოფლის 5 მილიციელის უფროსი და ბოლოს ტერორისტთა ხელმძღვანელი და თქვენის წყალობით არა სოციალისტს სვირში ვერ გაუვლია.

მაგრამ საქმე ამაში არ არის. ერთი გვითხარით რომელმა შეძლებულმა ხალხმა შემოგწირათ ფული? განა თქვენ არ იყავით ერთ-ერთ კრებაზე სვირელი ორი გლეხი საჯაროთ რომ შეურაცყავით იმისთვის, რომ მათ ორ-ორი შაურის მეტი არ მისცეს ფულის ამკრებთ?

რაც შეეხება ჩემ ბნელ მოქმედებას ეს მხოლოდ თქვენი პროვოკაციის ნაყოფია, მაგრამ კარგი იქნებოდა მოიგონებდეთ თქვენს მოქმედებას ბაქოში, სვირის კოოპერატივის 20,000 მანეთის ისტორიას, და ისე ილაპარაკებდე. სვირელი „ცალფეხა“ ეხება სიმინდის რეკვიზიციას და სწერს შემდეგს „იმ დღესვე გაირჩა სიმინდის რეკვიზიციის საქმე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სიმინდის რეკვიზიციას თვით მშიერი ხალხი გულგრილათ შეხვედრია“. რა იყო იმის მიზეზი? როგორ ჰგონიათ? ის ხომ არა, რომ წინეთ მობოჭილი სიმინდი, რომელიც ხელმოკლე ჯარის კაცებს უნდა მიცემოდა, უმეტესი თქვენმა ამხანაგებმა გაინაწილეს.

მე გირჩევდით გაჩუმდეთ, თორემ საზოგადოება ერთხელ დაინახავს რის მომქმედი ბრძანდებით ცალფეხავ.

**დ. წიგნაძე.**

---

რედაქტორი —სარედაქციო კოლეგია.

---

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

**1918 წ. 10 მარიამობისთვიდან**

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. |
| საფოსტო | — 3 | დღის | 8 — | 30 — |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 8 — | 10 — |

**ფოთ-ბათომიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 10 — | 18 — |

**ტყიბულიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 8 საათ. | და 15 წ. |

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო | — 24 | ღამის | 12 — | 40 — |
| საფოსტო | — 4 | დილის | 8 — | 45 — |

**ფოთ ბათუმისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 6 — | 40 — |

**ტყიბულისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 4 | დღის | 4 საათ. | — — |

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.